სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

01 ნოემბერი 2024

N 21/11261

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2024 წლის 29 ოქტომბრის №34-3424303203 წერილის (სააგენტოს რეგისტრაციით №10448) პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ მამკოდას ტერიტორიაზე (ს/კ 72.13.24.799; ს/კ 72.13.24.783; ს/კ 72.13.24.800; ს/კ 72.13.24.798; ს/კ 72.13.24.784; ს/კ 72.13.24.778; ს/კ 72.13.24.775; ს/კ 72.13.24.774; ს/კ 72.13.24.777; ს/კ 72.13.24.779; ს/კ 72.13.24.776; ს/კ 72.13.24.782; ს/კ 72.13.24.795; ს/კ 72.13.24.794; ს/კ 72.13.24.789; ს/კ 72.13.24.78; ს/კ 72.13.24.786; ს/კ 72.13.24.787; ს/კ 72.13.24.772; ს/კ 72.13.24.286; ს/კ 72.13.24.285; ს/კ 72.13.24.284; ს/კ 72.13.24.282) განაშენიანების დეტალური გეგმისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადების წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სკოპინგის განცხადება უნდა მოიცავდეს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაძლო ალტერნატივების ზოგად აღწერას და სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართებას, რაც არ არის წარმოდგენილი;
2. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია განაშენიანების ეტაპზე მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლების მართვისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ელექტრომომარაგებისა და გაზმომარაგების თაობაზე;
3. კონცეფციის მიხედვით, ფუნქციური ზონირების ნახაზზე საპროექტო სატრანსპორტო ზონა მოიცავს ორ საპროექტო არეალს შორის არსებულ გრუნტის გზას და გზის მიმდებარედ გამწვანება/სარეკრეაციო ზონას. ამასთან, კონცეფციის გზების გეგმა მოიცავს საპროექტო გზებსა და პარამეტრებს, საპროექტო გზების რუკაზე ასევე დატანილია მითითებული გრუნტის გზა. ვინაიდან, არ არის წარმოდგენილი აღნიშნული გზის Shp ფაილები, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

სააგენტო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე განახლებული სკოპინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,
ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11261-21-2-202411011745